თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო

# ც ნ ო ბ ა

## თანამდებობის პირის მიერ ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების წარმოდგენის თაობაზე

1. თანამდებობის პირის
   ა) სახელი და გვარი — მიხეილ ზაალიშვილი
   ბ) საიდენტიფიკაციო ნომერი — II.3.08.291
   გ) სამსახური — საქართველოს საგადასახდო შემოსავლების სამინისტრო

   დ) დაკავებული თანამდებობა — საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის გლდანი-ნაძალადევის საოლქო საგადასახადო ინსპექციის უფროსის მ/შ

2. ქონებრივი მდგომარეობის და საფინანსო დეკლარაციები საინფორმაციო ბიუროში წარდგენილი აქვს — 2000 წლის 29 დეკემბერს — (წელი, რიცხვი, თვე)
3. ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში შევსებულია
   1-ლი,მე-2,მე-3,მე-4,მე-6,მე-7,მე-8,მე-9 — ფურცლები
4. საფინანსო დეკლარაციაში შევსებულია
   — ფურცლები
5. — მიხეილ ზაალიშვილის
   (თანამდებობის პირის სახელი, გვარი) მიერ ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების წარმოდგენას საინფორმაციო ბიუროში

ვ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ

საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარე (ნ. ოვსიანიკოვა)

№ 4225 27.06.02 (თარიღი)

**თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია 2000 წლისათვის**

შევსებულია 9 (რიცხვი) ოქტომბერი (თვე)

## პირადი მონაცემები

სახელი, გვარი: მიხეილ ზაალიშვილი

პირადობის მოწმობის ნომერი:

~~სამსახური, დაკავებული თანამდებობა:~~ საქართველოს სახელმწიფო შემოსავლების სამინისტროს, საგადასახადო დეპარტამენტის, თბილისის გლდანი-ნაძალადევის საოლქო საგადასახადო ინსპექციის უფროსი

სამსახურის მისამართი, ტელეფონი: სახაჯიშვილის ქ. №1 62-92-85; 94-09-39

203861400
29. 12 2000
№ 1881-ა

სახელი, გვარი: მ. ზაალიშვილი

ხელმოწერა:

# თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია 2000 წლისათვის

**თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების (მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე თქვენთან მუდმივად მცხოვრები სხვა პირი) მონაცემები**

| გვარი | სახელი | დაბადების ადგილი | დაბადების წელი | დაბადების თვე | დაბადების რიცხვი | ნათესაური ან სხვაგვარი კავშირი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზაალიშვილი | მიხეილი | ქ. თბილისი | 1956 | ოქტომბერი | 28 | |
| ჯასოხია | ზინაიდა | ქ. თბილისი | 1961 | ოქტომბერი | 21 | მეუღლე |
| ზაალიშვილი | ნატო | ქ. თბილისი | 1981 | ივნისი | 17 | შვილი |
| ზაალიშვილი | ნათია | ქ. თბილისი | 1981 | ივნისი | 17 | შვილი |

სახელი, გვარი: მიხეილ ზაალიშვილი ხელმოწერა: [signature]

# თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია 2000 წლისათვის

**თქვენს, თქვენი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ნივთები, რომელთაგან თითოეულის ღირებულება აღემატება საარსებო მინიმუმის ორმოცდაათმაგ ოდენობას**

| ნივთის სახეობა, უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა | ნივთის მესაკუთრე (თუ ნივთი საერთო საკუთრებაში იმყოფება, მიუთითეთ აგრეთვე თანამესაკუთრის სახელი, მამის სახელი, გვარი) | ნივთის საბაზრო ღირებულება (თუ ნივთი საერთო წილობრივ საკუთრებაშიც იმყოფება, მიუთითეთ აგრეთვე თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის წილის ოდენობა) |
| --- | --- | --- |
| საცხოვრებელი ბინა, ქ.თბილისი | მიხეილ ზაალიშვილი | 80,0 ათ. ლარი |
| აგარაკი, სოფ. წორით | მიხეილ ზაალიშვილი | 90,0 ათ. ლარი |
| ავტომანქანა, | მიხეილ ზაალიშვილი | 15,0 ათ. ლარი |
| ავტოფარეხი ქ.თბილისი | მიხეილ ზაალიშვილი | 10,0 ათ. ლარი |

სახელი, გვარი: მიხეილ ზაალიშვილი ხელმოწერა: [signature]

# თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია 2000 წლისათვის

| თქვენს, თქვენი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდები | | | |
|---|---|---|---|
| ფასიანი ქაღალდის სახეობა | ფასიანი ქაღალდის მესაკუთრე | ფასიანი ქაღალდის ნომინალი | ფასიანი ქაღალდის რაოდენობა |
| აქცია | მიხეილ ზალიშვილი | 2,0 ლარი | 96,0 ათ. ცალი |

სახელი, გვარი: მიხეილ ზალიშვილი ხელმოწერა: [signature]

# თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია 2000 წლისათვის

| საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში არსებული ანგარიში ან/და შენატანი, რომლის განკარგვის უფლება გაქვთ თქვენ, თქვენი ოჯახის წევრს | | | |
|---|---|---|---|
| ანგარიშის ან/და შენატანის განმკარგავი პირი | საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულების რეკვიზიტები | ანგარიშის ან/და შენატანის სახეობა | ანგარიშზე ან/და შენატანზე რიცხული თანხა |
| | | | |

სახელი, გვარი: მიხეილ ზაალიშვილი ხელმოწერა: [signature]

# თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია 2000 წლისათვის

თქვენს, თქვენი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ნაღდი ფულადი თანხა, რომლის ოდენობა აღემატება სახელფასო მინიმუმის თხუთმეტმაგ ოდენობას, ამ დეკლარაციის მე-5 ფურცელზე ასახული თანხების გარდა

| ფულადი თანხის მესაკუთრე | ფულადი თანხის ოდენობა შესაბამის ვალუტაში |
|---|---|
| მიხეილ ზაალიშვილი | 7,0 ათ. ლარი |

სახელი, გვარი: მიხეილ ზაალიშვილი ხელმოწერა: [signature]

ფურცელი 7.

# თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია 2000 წლისათვის

| თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის მონაწილეობა საწარმოს საქმიანობაში | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საწარმოს საქმიანობაში მონაწილე პირი | საწარმოს სრული საფირმო სახელწოდება | მონაწილეობის ფორმა (ინდივიდუალური მეწარმე, პარტნიორი (აქციონერი), კონსულტანტი, სამეთვალყურეო, სარევიზიო საბჭოს წევრი, დირექტორი, პროკურისტი, საწარმოს წარმომადგენელი ან სხვა) | საწარმოს მარეგისტრირებელი ორგანო | რეგისტრაციის თარიღი | საწარმოს იურიდიული მისამართი |
| მიხეილ ზაალიშვილი | ს/ს „თბილხელსაწყო" | აქციონერი | სამგორის რ-ნის სასამართლო ქ. თბილისი | 1995 | ქ. თბილისი მოსკოვის გამზ. №24ა |

სახელი, გვარი: მიხეილ ზაალიშვილი

ხელმოწერა:

# თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია 2000 წლისათვის

**ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაო, რომელსაც ასრულებთ თქვენ, თქვენი ოჯახის წევრი, საწარმოს საქმიანობაში მონაწილეობის გარდა**

| სამუშაოს შემსრულებელი პირი | სამსახური, რომელშიც პირს უკავია თანამდებობა ან ასრულებს სამუშაოს | თანამდებობის დასახელება ან სამუშაოს შინაარსი |
|---|---|---|
| მიხეილ ზაალიშვილი | საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს, საგადასახადო დეპარტამენტის ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის საოლქო-საგადასახადო ინსპექცია | საოლქო ინსპექციის უფროსი |

სახელი, გვარი: მიხეილ ზაალიშვილი ხელმოწერა: [signature]

# თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია 2000 წლისათვის

თქვენს მიერ, თქვენი ოჯახის წევრის მიერ დადებული ნებისმიერი მოქმედი ხელშეკრულება, რომლის საგნის ღირებულება აღემატება საარსებო მინიმუმის თხუთმეტმაგ ოდენობას, ამ დეკლარაციის სხვა ფურცლებზე ასახული ხელშეკრულებების გარდა

| ხელშეკრულების სახეობა და ხელშეკრულებაში მონაწილე პირი (თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრი) | ხელშეკრულების საგანი და მისი ღირებულება | ორგანო, რომელმაც მოახდინა ხელშეკრულების სახელმწიფო რეგისტრაცია ან დამოწმება | ხელშეკრულების დადების თარიღი და მოქმედების ვადა |
|---|---|---|---|
| ნდობის მინდობა — მიხეილ ზაალიშვილი, ზინაიდა ჯასარია | აქციები 192,0 ათ. ლარი | ნოტარიუსი | საჯარო სამსახურში ყოფნის ვადით. |

სახელი, გვარი: მიხეილ ზაალიშვილი ხელმოწერა: [signature]

389-გ
04. 12. 2000

საქართველოს საგადასახადო შემოსავლების
სამინისტროს გლდანი-ნაძალადევის საოლქო
ინსპექციის უფროსს
ბატონ მიხეილ ზაალიშვილს

ბატონო მიხეილ,

გაცნობებთ, რომ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონის მე-14 მუხლის მე-1 პუნქტის შესაბამისად თქვენ ვალდებული იყავით ა.წ. 21 აგვისტოდან 21 სექტემბრამდე, როგორც საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს გლდანი-ნაძალადევის საოლქო ინსპექციის უფროსი, თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში წარმოგედგინათ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. კანონის ეს მოთხოვნა თქვენს მიერ შესრულებული არ არის, რაც შეადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $173^{8}$ მუხლით გათვალისწინებულ გადაცდომას.

საინფორმაციო ბიუროში უნდა შეივსოს შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელშიდაც შესატანია თქვენი პირადი მონაცემები და თქვენი ახსნა-განმარტება (ოქმი აგრეთვე ექვემდებარება თქვენს მიერ ხელმოწერას). ამრიგად, ოქმის შედგენაში მონაწილეობის მისაღებად, გთხოვთ, უმოკლეს ვადაში მობრძანდეთ ან დაგვიკავშირდეთ საინფორმაციო ბიუროში (მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №17ა, IX სართული; საკონტაქტო ნომერი: 25-35-06; 25-35-02). ამასთან აღვნიშნავთ, რომ ოქმში თქვენი ახსნა-განმარტებისა და ხელმოწერის არარსებობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას ოქმის სასამართლოში გადასაცემად.

აქვე შეგახსენებთ, რომ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად თქვენ ვალდებული ბრძანდებით ქ. თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს მიერ თქვენს მიერ ჩადენილ ადმინისტრაციულ გადაცდომაზე გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან 2 კვირის ვადაში საინფორმაციო ბიუროში შეავსოთ და წარმოადგინოთ ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციები. დეკლარაციების წარმოდგენის აღნიშნული ვადის დარღვევა გამოიწვევს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 355 მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

საინფორმაციო ბიუროს
თავმჯდომარე ნ. ოვსიანიკოვა

D:\MyDoc\2000 year\SagadSemos\werilebi\dasajaromebeli\ZAALISVILI.doc

## დადგენილება

07 მარტი, 2001 წ. ქ. თბილისი

ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნ.დურგლიშვილმა განიხილა თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროდან შემოსული მასალები მიხეილ ზაალიშვილის მიმართ, რომელსაც წარდგენილი აქვს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $173^{8}$ მუხლი,

გამოვარკვიე:

მიხეილ ზაალიშვილი, როგორც საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, რომელიც თანამდებობაზე დაინიშნა 2000 წლის 21 აგვისტოს, ვალდებული იყო„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ„ საქართველოს 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონის მე-2-ე, მე-14-ე მუხლებისა და საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 17 მარტის №98-ე ბრძანებულების თანახმად წარედგინა თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია 2000 წლის 21 აგვისტოდან ერთი თვის ვადაში.

დადგენილ ვადაში მ. ზაალიშვილმა არ წარადგინა დეკლარაცია დანიშნულებისამებრ, რის გამოც მის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

სასამართლოში გამოცხადებულმა მ. ზაალიშვილმა არ სცნო თავი ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევ პირად და განმარტა, რომ იგი აღნიშნული თანამდებობიდან გათავისუფლდა 2000 წლის 21 აგვისტოს. თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე ბრძანება არ ჩაბარდა დროულად სამინისტროს სისტემაში მიმდინარე რეფორმებთან და რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, რამაც გამოიწვია მის მიერ ბიუროში დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ მ. ზაალიშვილის მიმართ საქმე უნდა შეწყდეს წარმოებით, ვინაიდან მის მიერ ბიუროში დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენა არ არის გამოწვეული მისი ბრალით, რასაც ადასტურებს საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრის პირველი მოადგილის დავით მუმლაძის წერილი,რომელშიც აღნიშნულია, რომ სამინისტროს სისტემაში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით დადგენილ ვადებში ვერ მოხდა თანამდებობის პირთა მიერ დეკლარაციების წარდგენა და ითხოვენ აღნიშნულის გათვალისწინებას.

ვიხელმძღვანელე რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 266-267-ე მუხლებით,

დავადგინე:

მიხეილ ზაალიშვილის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის თანახმად საქმე შეწყდეს წარმოებით.

დადგენილება საბოლოოა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა წარმოების წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მოსამართლე: ნ. დურგლიშვილი

203861400 "12" 04 2001 № 694-ჯ